სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

15 06 2020 წ. №92 ქ. თბილისი

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წლის დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/1) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე

სსიპ-კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წლის დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/1) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი".
2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) აი ტი სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ვამტკიცებ
საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი
_____ გ. ჩხეიძე
15 ივნისი 2020 წელი

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წლის დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/1) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი

1. სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 10 იანვრის #7 ბრძანებით გამოცხადებული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წლის დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი#2/1) შემოტანილ პროექტებს განიხილავს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ეროვნული კინოცენტრი) საექსპერტო კომისია, რომელიც შედგება 6 წევრისგან.
2. საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან №2/1 კონკურსზე შემოტანილ პროექტებს (სცენარებსა და სხვა დოკუმენტაციას), რის შემდეგაც დათქმულ დროს ტარდება პროექტების პრეზენტაცია და გასაუბრება ავტორებთან და ქართული მხარის თანაპროდიუსერთან.
3. კომისიის წევრები აფასებენ პროექტებს დანართი 2–ით განსაზღვრული წესით და კინოცენტრს წარუდგენენ პროექტების რეიტინგულ სიას, რომელშიც პროექტების სათაურების გასწვრივ იწერება მათ მიერ მინიჭებული ქულები (დანართი 1). კომისიის წევრები ასევე წარმოადგენენ პროექტებისთვის მინიჭებული ქულების წერილობით არგუმენტაციას.
4. საბოლოო შედეგი მიიღება ქულათა დაჯამების შედეგად, საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს ეროვნულ კინოცენტრს წარუდგენს დასკვნის სახით.
5. საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს დააფინანსოს ის პროექტები, რომლებიც მიიღებენ ქულათა მაქსიმუმს.
6. ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის თაობაზე და განსაზღვრავს თითოეული პროექტისთვის დაფინანსების ოდენობას.

დანართი 1

კოპროდუქციის პროექტების რეიტინგული სია

კონკურსი 2/1

N	პროექტი	შეფასება
1.		
2.		
3.		
4.		
5.		
6.		
7.		
8.		
9.		
10		

კომისიის წევრი

ხელმოწერა

დანართი2.

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური წარმოების კონკურსზე

<u>წარმოდგენილი პროექტების</u>

<u>შეფასების წესი</u>

<u>კონკურსი 2/1</u>

- გთხოვთ, პროექტის შეფასებისას ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ კომპონენტებზე:

1. სცენარი

- იდეა/თემა
- სტრუქტურა
- დრამატურგია
- პერსონაჟები
- დიალოგები

2. რეჟისორი

- რეჟისორის მოტივაცია
- ხედვა
- ვიზუალური მხარე
- ატმოსფერო/სტილი
- წინა ნამუშევარი

3. პროდიუსერი

- პროდიუსერის მოტივაცია
- პროდიუსერის გამოცდილება
- პროექტის სადისტრიბუციო პოტენციალი

- გთხოვთ, პროექტი შეაფასოთ ერთი საერთო ქულით 1-დან 10-ის ჩათვლით და ეს ქულა ჩაწეროთ რეიტინგული სიის შესაბამის გრაფაში.

- გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენს მიერ მინიჭებული ქულის არგუმენტაცია. ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 ნაბეჭდ გვერდს.